# შოთა ყიზილაშვილი – 85

## ჟურნალის რედაქცია ულოცავს ბატონ შოთა ყიზილაშვილის 85 წლის სახელოვან იუბილეს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებს პირად ცხოვრებაში და პროფესიულ საქმიანობაში ქვეყნის საკეთილდღეოდ

შოთა ყიზილაშვილი დაიბადა 1931 წლის 12 აპრილს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში კონსტანტინე ყიზილაშვილისა და ელენე ცისკარიშვილის ოჯახში.

იგი გაიზარდა დიდ ოჯახში. მის მშობლებს ჰყავდათ ოთხი შვილი. და ძმებს შორის ყველაზე პატარა დღევანდელი იუბილარია.

1950 წელს დაამთავრა სოფელ ზემო ალვანის საშუალო სკოლა. ამავე წელს მისაღები გამოცდების ჩაბარებით ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1955 წელს და მიენიჭა ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაცია.

1955 წლიდან 1958 წლამდე მუშაობდა სიღნაღის რაიონის დაბა წნორში ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოში ინჟინრად.

1958 წელს ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ასპირანტურაში - წყალთა მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით. ასპირანტურა დაამთავრა 1961 წელს და ამავე ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა უმცროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

1962 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ალაზნის სარწყავი სისტემის კაპიტალდაბანდებათა გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა” და მიენიჭა ძიებული ხარისხი.

ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში მონაწილეობას იღებდა „საქართველოში ჩაისა და ვაზის კულტურების მორწყვის ეკონომიკური ეფექტიანობის” პრობლემის კვლევაში.

1965-1966 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებულ საქართველოს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

შემდგომ 1966-1971 წლებში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში მონაწილეობდა „საქართველოს მიწის ეკონომიკური შეფასების” პრობლემის კვლევაში.

1971 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში. სადაც ნაყოფიერ პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა.

1974 -1975 და 1983 - 1984 წლებში სწავლობდა მოსკოვში მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი მეცნიერების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში.

იუბილარმა 1989 წელს ქ. მოსკოვში საბჭო-

თა კავშირის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მორწყვის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები საქართველოს სსრ" და მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მიღებული აქვს დოცენტისა და პროფესორის წოდებები. არის საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

პროფ. შ. ყიზილაშვილი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში ლექციებს კითხულობს შემდეგ საგნებში: პოლიტიკური ეკონომია, ჰიდროტექნიკური მშენებლობის ეკონომიკა, ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლები, ეკონომიკური თეორიის საფუძვლები,ეკონომიკის პრინციპები, საქართველოს ეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა, მიწის კადასტრი, მიწის მარკეტინგი, საქართველოს მიწის სამართლებრივი რეგულირება.

პროფ. შ. ყიზილაშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულია და დაცულია სამი სადოქტორო და ოთხი საკანდიდატო დისერტაცია. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისათვის მომზადებულია სამოცზე მეტი სტუდენტის მოხსენება.

იუბილარს გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის ოთხი სახელმძღვანელო და ერთი მონოგრაფია.

პროფ. შ. ყიზილაშვილის მიერ დამუშავებული „მორწყვის კაპიტალდაბნდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდიკით" „საქსახწყალპროექტის" მიერ, გაანგარიშებულია საქართველოში სამომავლოდ მოსარწყავი მიწების მორწყვის ეკონომიკური ეფექტიანობის მიზანშეწონილობა. ასევე, მის მიერ პირველად, დადგენილია მოთხოვნის კანონის მოქმედების არეალები და საქართველოში ხელოვნური მდინარეების შექმნის იდეა.

იუბილარი სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა: ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიაში", წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში, თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, თბილისის ევროპულ უნივერსიტეტში, საგარეჯოს დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, ბაკურციხის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, თ. მუხაძის სახ. უნივერსიტეტ „ივერიაში" და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

პროფ. შ. ყიზილაშვილი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში იყო: სახელმწიფო საგამოცდო და ფაკულტეტებზე სადიპლომო ნაშრომების დაცვის კომისიების წევრი, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების კომისიების წევრი, პრობლემური თეორიული სემინარების ხელმძღვანელი, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნის მოადგილე, პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პარტჯგუფორგი, საქართველოს ცკ შტატგარეშე და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი. ამ ხაზით საქართველოს რაიონებში და წარმოება-დაწესებულებებში წაკითხული აქვს დაახლოებით ექვსასზე მეტი ლექცია-მოხსენება.

პროფ. შ. ყიზილაშვილის მიერ გამოკვლეული და დასაბუთებულია თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხი-წნორის შემაერთებელი რკინიგზის მიზანშეწონილობა და ეკონომიკური ეფექტიანობა.

პროფ. შ. ყიზილაშვილი ხშირად მონაწილეობს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში. სადაც საქართველოს ეროვნული მეურნეობის აქტუალურ პრობლემებზე წაკითხული აქვს ოცდაათზე მეტი მოხსენება.

პროფ. შ. ყიზილაშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულია ათზე მეტი სამაგისტრო ნაშრომი.

პროფ. შ. ყიზილაშვილს 2015 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს აკადემიური წოდება ემერიტუსი.

დღესაც დიდი შემართებით აგრძელებს მუშაობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტში ემერიტუსი პროფესორის თანამდებობაზე.

პროფ. შ. ყიზილაშვილს ჰყავს მეუღლე - ზაირა აბაშიძე, სამი შვილი, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

***ჟურნალ „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების" რედკოლეგია***

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 2-36-43-78; 599-33-53-92.
web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge
e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

გადაეცა ასაწყობად 25.08.16.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.08.16.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე
სტილური რედაქტორი: ბადრი ცხადაძე
კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბოლქვაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი